# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 232 სამშაბათი, 20 ოქტომბერი 1909 წ. № 232

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საგანგებო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. საჭიროების დროს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელი არ ისაზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდგის 3 საათამდე. ადრესის გ. მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან, ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


ანნა სტეფანეს ასული ოცხელისა, იოსებ სვიმონ, დავით, კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, სოფიო ივანეს ასული პოლოლიკოვისა, ნინა ივანეს ასული ოცხელი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ძვირფას შვილის, დანარჩენნი დაუვიწყარ ძმის კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ალექსანდრე ივანეს ძის ოცხელისას.

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ქუთაისი, ტფილისის ქ.) ხუთშაბათს დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (2—კვ.—1)


## ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

ამ თემაზე:

### სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ ბ. ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათს. (5—3)

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან წილს გადასდებენ

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.

გვაქვს პატივი საყოველთაოდ ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ დაბა ბაღდადში (ქუთაისის მაზრა) მთავრობის ნებართვით დანიშნულია

## საბაზრო დღე, ორშაბა

ყოველ კვირა დღისთვის, რისთვისაც ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილას გაკეთებულია ყაფანი სასწორით და ბუტკები, სადაც იყიდება სიმინდი, ღვინო, ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, შინაური ფრინველი, ქვევრი, ფიცარი, ხეები, ხითეულობა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ნამყენი ვაზი და სხვა ყოველნაირი სამეურნეო ნაწარმოები, საბაკალეო და სამანუფაქტურო საქონელი,

აგრეთვე სოფლის მცხოვრებთ შეუძლიანთ მოიტანონ ყოველნაირი თავიანთი ნაწარმოები და მოიყვანონ ცხოველები გასასყიდად.

ბაღდადის დეპუტატები: ა. ბუცხრიკიძე, ს. ხითაროვი და ს. ჯაფარიძე. (3—კვ.—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ბ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. მოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ი. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—184)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს,

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3,

ნოვიცკი—ბებ, ქალ., ყოველ დღე 1—2

აბულაძიანი—შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

კალამქაროვი—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს,

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურ. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—6.—106)

## კაბინეტი

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—86

## ექიმი

-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—9)

## ექიმი

ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—28)

## ექიმი

გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—41)

## ექიმი

გ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

## ექიმი

კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

## ექიმი

კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი დივანისა. (უ)

### ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშნი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—23)

## ექიმმა

ქუთაისში. ვოლოხმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—8)

## ექიმი

კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—276)

## ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ხალ.—27)

## ექიმი

ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—36)

## ექიმი

ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი ბაბაშვილისა. (უ)

წარმოდგენა № 9. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 9.

კვირას, 18 ოქტომბერს, 1909 წელს. პირველი აბონიმენტი.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კომედია ვ. შექსპირისა.

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 3 მოქმედებად თარგ. კ. მესხისა.

## დედის ერთა

კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი, პ. მდივანი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საღაროვი, დ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „იმედის დღეობა", „ქოჩრიანი ტოროლა".

მორიგი რეჟისორი კ. მესხი, რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

დ მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურგ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—16)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ალენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ,

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—39)

## ექიმი

ლ. ნ. ოჰანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცის ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—41)

## ექიმი

გ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი

ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). 0—33)

## ექიმი

ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—83)

## იყიდება

იაფად საგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოდოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს. (50—6.—38)

## ექიმი

კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხოშხის ქუჩაზე, თოფურიასეულ სავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—9)

ტფ. საკრედიტო საზოგადოების დარბაზში (ერევნის მოედანზე)

სამშაბათს, 20 ოქტომბერს, ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება

## საცეკვაო საღამო

საკონცერტო განყოფილებით

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, მანდოლინისტების ხორო და საზანდარი.

ცეკვა კოტილიონით.

შესასვლელი ფასი: დიდებისთვის 1 მ. 10 კ., მოწაფეთათვის 50 კ.

საღამოს გამგე კნეინა თარხან-მოურავოვისა. (2—უ.—2)

„ტფილისის სობრანიე"

სამშაბათს, 20 ოქტომბერს 1909 წ.

## საოჯახო საღამო

სინემატოგრაფი ქ-ნ ივანიცკაიასი. ახალი სურათები.

დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი სინემატოგრაფისა საღამოს 9 საათზე. (1—511—1)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„მოსავლის" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საინტერესო წერილი გ. ნახუცრიშვილისა ამ სათაურით: „რა სარგებლობა მოუტანა ერობამ რუსეთის გლეხობას".

შემოვიდა თუ არა რუსეთში ერობა, სწერს ავტორი:—იგი პირველი დღიდგანვე ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას შეუდგა. ამისათვის მან გახსნა მრავალი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები, რომლებმაც, რასაკვირველია, დიდი სამსახური გაუწიეს რუსეთის მიწის მუშა გლეხკაცობას...

ამაზე არა ნაკლები სამსახური გაუწია ერობამ გლეხობას სასოფლო მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესობით.

ერობები იწვევდნენ მეურნეობაში დახელოვნებულ პირთ — აგრონომებს, რომელნიც ქალაქებში კი არა სცხოვრობდნენ, არამედ დადიოდნენ სოფელ-სოფელ, აკვირდებოდნენ სოფლების ყოფა-ცხოვრებას, გლეხების მეურნეობას და მის გასაუმჯობესებლად აძლევდნენ მათ ყოველ გვარ რჩევა-დარიგებას. მაგრამ გლეხკაცობა პირველადვე გულცივად დაუხვდა მათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან გლეხკაცი, რომელიც პატარაობიდანვე ბუნებასთან იყო ჩახუტებული და საუკუნოებით მამა-პაპურის წესით აწარმოებდა თავის მეურნეობას, დღეს ეს დაუპატიჟებელი მასწავლებლები უწუნებდნენ ამ წეს, ე. ი. მამა-პაპურ გუთნებს, ხვნა-თესვის წესს და სხ... ამგვარად აგრონომების რჩევა-დარიგებას, პირველად გასავალი არა ჰქონდა ხალხში.

მაგრამ ამას როდი შეუშინდნენ ეს პატიოსანი მუშაკნი უფრო ხშირად დაიარებოდნენ სოფლად. მართლაც, რაც დრო გადიოდა იმდენად გლეხკაცობაც ეჩვეოდა აგრონომების რჩევა-დარიგებას და ბოლოს დარწმუნდა კიდეც, რომ იმათთან დაიარებოდნენ არა ჩინოვნიკები, არამედ უბრალო გულკეთილი მასწავლებელნი, რომელნიც მხოლოდ ასწავლიდნენ და ურჩევდნენ. აასრულებდნენ მათ რჩევა-დარიგებას თუ არა, ეს გლეხების ნება იყო; თითონ კარგად ესმოდათ რომ ამაზედ იმათ არავინ დასჯიდათ.

აი ამგვარმა გრძნობამ მოიყვანა გლეხობა ჭკუაზედ და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ აგრონომების რჩევა საქმეშიაც გაეშინჯათ.

როგორც მოგეხსენებათ ყველა გლეხს პირველათ ძალიან ეძნელება რაიმე ახალი საქმის დაწყობა, მაგრამ როდესაც კი დაიწყობს და შიგ სარგებლობასაც დაინახავს, მაშინ თქვენ თავი მიანებეთ, მათთვის რჩევა აღარ არის საჭირო, რადგან დღეს თუ ერთმა დაიწყო ახალი საქმე, ხვალ მიხედულობით მას ასი და ორასი თანამოაზრე ამხანაგები გამოუჩნდებიან.

აი ამაზე რას მოგვითხრობს პერმის გუბერნიის, ვერხოტურსკის მაზრის აგრონომი:

1900 წელს აგრონომს დიდის წვალების შემდეგ მხოლოდ ორი გლეხი დაუყოლიებია და რიგზე მთესავ მანქანით მათთვის თითო თითო დღიური პური დაუთესვინებია. ამ ორ გლეხის გარდა აგრონომს სხვა არავინ მიჰკარებია ახლო. მომეტებული ნაწილი თურმე ლანძღავდნენ და დაცინვით ამბობდნენ: „ეგ მანქანა ისე თხლათა სთესავს მარცვალს, რომ ჩვენი აგრონომი თესლსაც ვერ აიღებს"-ო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ადგილებში ხელით დათესვის დროს თითოეულ დესეტინას 16—18 ფუთი თესლი უნდება, მთესავი მანქანა კი დესეტინას ათ ფუთს ანდომებდა. სადაც ხელით იყო დათესილი, იქ მეტი წილი ყანები დაიწვა და მარცვალიც აიშრიტა მანქანით დათესილმა ყანებმა კი მშვენიერი თავთავი გაიკეთა და ერთმა დესეტინამ 120 ფუთი წმინდა ხორბალი ჩააბარა პატრონს.

ამ მაგალითმა, რასაკვირველია, დიდი საქმე გააკეთა ხალხში. 1901 წელს იმდენი მსურველი გამოუჩნდა ამ საქმეს, რომ ორი მთესავი მანქანა ვერ ასდიოდა თესვას. 1902 წ. 16 გლეხმა შუამდგომლობა სთხოვა ერობას, რომ მათთვის მთესავი მანქანები გამოეწერა. ერობამ დაუყონებლივ გამოუწერა 16 მანქანა შეღავათიანის პირობით.

1902 წ. ამ მანქანებით თითქმის 700 დესეტინამდის დაითესა და დღეს რამდენიმე ასი მანქანა უკვე მოიპოვება ზემოხსენებულ გუბერნიაში.

ამასთან ერობამ მოაწყო სამეურნეო იარაღის საწყობი, საიდანაც შეღავათიანის პირობებით აძლევდა და აძლევს იარაღს.

## დეპეშები

(პეტ. რბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ოქტომბერი

### არეულობა საბერძნეთში

**ათინა**. მეამბოხეებმა რამდენიმე ნაღმოსანი ხელში ჩაიგდეს. გუშინ, 17 ოქტომბერს, მეამბოხეებს ნაღმოსნების კარამანგის მაღლობ ადგილებიდან მთავრობის ჯარი ზარბაზნებს ესროდა. სროლამ 20 წუთი გასტანა. ჯავშნიანმა გემებმა რამდენჯერმე ესროლეს ნაღმოსნებს. დაზიანდა ერთი ნაღმოსანი. არსენალი მთავრობის ხელშია. მთავრობას იმედი აქვს, რომ ნაღმოსნები დაჰნებდებიან. ქალაქში მშვიდობიანობაა. მინისტრ-პრეზიდენტმა, მავრომიხალისმა დეპუტატთა პალატას გააცნო თუ რა მდგომარეობაში არიან მეამბოხეები და სთქვა: საბედნიეროდ

ამბოხებაში ცოტა ხალხი იღებს მონაწილეობას. ვერაფრით ვერ გავამართლებთ ზოგიერთ სამხედრო პირების საქციელს, ისინი აჩქარდნენ, მათ ერთბაშად უნდოდათ ყველაფერი და ამან იქამდის მიიყვანა, რომ აწ არსებულ წესწყობილების დარღვევა მოინდომესო. მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა სახელმწიფოში წესიერება აღადგინოს. თუ აფიცრები შესცდნენ, მათ კიდევ აქვთ დრო, რომ თავიანთი საქმე გამოაკეთონო. რალლიმ მოითხოვა განმარტება, მართალია თუ არა გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ციპალდოსი დეპუტატებ სტრატოს და ალექსანდრის წაექეზებინოთო. სტრატოსმა და ალექსანდრისმა უარჰყვეს ეს ხმა და გამოძიება მოითხოვეს. პოლკოვნიკმა ლიმბრიტისმა მეამბოხეების სასტიკად დასჯა მოითხოვა. დეპუტატები ძალიან აღელვებულნი არიან.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: თუმცა მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, არსენალი ჩვენ ხელშია და იმედია, რომ ნაღმოსნები დანებდებიან, მაგრამ ხმა დადის, ნაღმოსნები კუნძულ კრიტისკენ წავლენ და კუნძულს დაიჭერენო. „ტაიმს" ათინიდან ატყობინებენ: მთავრობის მომხრე გემებს ორი მატროსი დაუჭრეს, მეამბოხეების ზარალი ჯერ არ გამორკვეულა. მეამბოხეების ერთი ნაღმოსანი დაზიანდა, მეორე ელევზესისკენ წავიდა, მესამე საზღვაო სადგურ პოლოსზე, მაგრამ აქ მეამბოხეებს მტრულად დაუწყეს ყურება, ამიტომ ნაღმოსანი იძულებული გახდა ზღვაში გასულიყო. მთავრობის მომხრე გემები სალონიკის სრუტის შეკვრას აპირებენო.

**ათინა**. სულ ერთიანად ჩააქრეს საზღვაო აფიცრების არეულობა.

**ათინა**. არსენალის აფიცრებმა მატროსებმა და მუშებმა მორჩილება განაცხადეს. ტიპალდოსის და მის ამხანაგების შესახებ სხვა და სხვა ხმები დადის. ჰფიქრობენ, რომ ესენი გაიქცნენ. არ იციან სად არის ნაღმოსანი „ველოსი". ზარბაზნების სროლის დროს გემ „სფონდონზე" მოკვდა სამი, დაიჭრა რამდენიმე კაცი.

**ათინა**. ქალაქი ჯერეც არ დამშვიდებულა. ქუჩებში სალდათები დადიან. არეულობაში მონაწილეობას იღებდა 7 საზღვაო აფიცერი, აქედან ერთი უკვე მოჰკლეს. დაპატიმრებულ რევოლიუციონერების ბედს მეფე გადასწყვეტს.

**ათინა**. დააპატიმრეს 9 მეამბოხე აფიცერი. ხმა დადის ტიპალდოსი რამდენიმე აფიცრით პერესის მთის ახლოა და ჟანდარმებმა გზა შეუკრესო.

**ბერლინი**. ათინიდან დეპეშით იტყობინებიან: 80 საზღვაო აფიცერმა, რომლებიც ტიპალდოსს ემხრობიან, თუმცა-კი ამბოხებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, გადასწყვიტეს, თუ მთავრობა საზღვაო სამინისტროდან არ დაითხოვს ზოგიერთ დიდ პირებს, როგორც ამას ტიპალდოსი თხოულობდა, სამსახურიდან გავიდეთო.

**სპარსეთი**

**პეტერბურგი**. მთავრობა მეტად სთვლის სპარსეთში ჯარი იყოლიოს, ამიტომ სპარსეთიდან გამოიყვანენ რუსის ჯარს. სპარსეთში დარჩება მხოლოდ ყაზახთა ლაბინსკი პოლკი. ამ პოლკიდან 50 ყაზახი წავა ყაზვინში, რუსის კონსულის სადარაჯო რაზმის გასაძლიერებლად. პოლკის დანარჩენი ნაწილი დროებით ენზელს ან რეშტში დაბანაკდება საკონსულოების სადარაჯო რაზმების გასაძლიერებლად. თუ საჭირო იქნება რუსეთის მთავრობა ამ რაზმს შესაფერისად გააძლიერებს.

**საზღვარ-გარეთ.**

**სტოკჰოლმი**. მეფემ მიიწვია თავისთან შვეციელ მექარხნეთა კავშირის დირექტორი სადოვი და რიკსტაგის დეპუტატი ლინდკვისტი და სთხოვა, შეეცადენით, რომ რაც შეიძლება მალე მორიგდნენ მექარხნეები და მუშებიო.

**ლონდონი**. გაზეთ „სტარ"-ს კობედან დეპეშით ატყობინებენ: სეულის ახლო, რკინის გზის სადგურს თავს დაეცა სამასი კორეელი. არ იციან რა მოუკიდათ რკინის გზის მოსამსახურეებსო.

**ვენა**. უეცრივ შეაჩერეს დეპუტატთა პალატის სხდომები. დეპუტატების აზრით პალატის სხდომების დროებით შეჩერებით მთავრობას ჩეხელ დეპუტატების ობსტრუქციის შეჩერება უნდოდა, რაიც უსათუოდ დაიწყობოდა, რადგან მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ძალაში შეიყვანოს სლავიანების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი კანონ-პროექტებიო. ამ კანონ პროექტის შესახებ მსჯელობა მინისტრთა საბჭოს დღეს, 17 ოქტომბერს ექნება, ამიტომ ელიან რომ სამინისტროდან გავლენ ჩეხელი მინისტრებიო. რადგან მინისტრთა საბჭოს წევრების უმრავლესობა კანონ-პროექტების მომხრეა. კანონპროექტები ქვემო და ზემო ავსტრიას ტიროლის და ფორალბერგის საერობო გიმგეობებსა, საერობო რეალურ სასწავლებლებსა და ქალაქის საბჭოებში უპირატესობა გერმანულ ენას მიეცემა. ამასთან ჩეხური ენა იხმარება იქ, საცა აქნობამდის იხმარებოდა. სლავიანების აზრით ეს კანონ-პროექტები ძირითად კანონებს არღვევენ და ამ კანონ-პროექტების დამტკიცება გერმანელების პოლიტიკის გამარჯვებას მოასწავებს.

**ვენა**. სამინისტროდან გავიდა ორი ჩეხელი მინისტრი. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" სწერს, რომ ჩეხელი მინისტრები სამინისტროდან გავიდნენ. გაზეთის სიტყვით ჩეხელი მინისტრები ჰკვიანი და წინ დახედული სახელმწიფო მოღვაწენი არიან. „ნეიეს-ვიკერ-ტაგებლატი"-ს აზრით საჭიროა ჩეხელებთან შეთანხმება, რადგან ჰუნგრეთი ამ ჟამად დიდ კრიზისს განიცდის. მთელი პრესა იმ აზრისაა, რომ ჩეხელები აასრულებენ თავიანთ სიტყვას, პალატის სხდომებს შეაჩერებთო, რასაც ცუდი შედეგები მოჰყვება.

**კარლსრუე**. საბოლოოდ გამოირკვა ბადენის ლანდტაგის შემადგენლობა. ლანდტაგში შედის: ცენტრი—26 დეპუტატი (იყო 28), ნაციონალ-ლიბერალი 17 (იყო 23), კონსერვატორი—2 (იყო 3), სოფლის მეურნეთა კავშირი—1 (იყო 1), თავისუფალ-მოაზრეთა, როგორც წინეთ, 6 და სოციალ-დემოკრატები—20 დეპუტატი (იყო 12).

**რომი**. სტეფანეს სააგენტოს არდიაბებიდან ატყობინებენ: 15 ოქტომბერს აბისინიის იმპერატორს მენელიკს დამბლა დაეცა.

**რუსეთი**

**ვარშავა**. რანსკის ქუჩაზე აფთიაქში აფეთქდა ბენზ-ნი. მძიმედ დაშავდა სამი, ერთი მათგანი, 15 წლის ბავშვი უკვე გარდაიცვალა, მსუბუქად 6 კაცი.

**ვენეკი**. სოფელ მოჩილახში გადაიწვა 47 სახლი. ცეცხლში დაიწვა 80 წლის მოხუცი, უსინათლო და ბევრი შინაური საქონელი.

**ტაგანროგი**. სამოსამართლო პალატამ განიხილა 9 კაცის საქმე. ამათ ბრალდებოდათ სადგურ ხარცისკზე გაფიცვის მოწყობა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ინჟინრებს: ხლებნიკოვს, როსტოვცევს და პოდრეზოვს ციხე. თითოს წლიწად ნახევრით, ოთხს თითო წლით ციხე და ორი გაამართლა.

**პეტერბურგი**. სადგურ ბოლოგოეზე გარდაიცვალა ცნობილი კრიტიკოსი და ბიბლიოგრაფი არსენი ივანეს ძე ვვედენსკი.

**ტულა**. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია პოლიაკოვას ქალის საქმე. ამას ბრალდებოდა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრობა და არალეგალური ლიტერატურის შენახვა. 1906 წელს პოლიაკოვას სახლის გაჩხრეკის დროს, პოლიციამ აღმოაჩინა, არალეგალური ლიტერატურა, რამდენიმე გატენილი ყუმბარა, რევოლვერები და პატრონები. სასამართლომ დამნაშავედ იცნო პოლიაკოვის ქალი და ხუთი წლით სატუსაღო მიუსაჯა.

**პოლტავა**. სოფელ ბელოცერკოვკაში ექვსმა შეიარაღებულმა ბოროტგანმზრახველმა ეკლესია გაცარცვა. მძიმედ დაჭრილია ეკლესიის დარაჯი. ბოროტგანმზრახველები მიიმალნენ. ეჭვით დააპატიმრეს ორი კაცი.

**სარატოვი** სამოსამართლო პალატამ გაარჩია სოფელ ბოლშოი კ რაის გლეხების საქმე. 1906 წელს, 30 მაისს, ამ სოფელში გლეხები არეულობის ჩასაქრობად გაიგზავნენ საერობო დარაჯები. დარაჯებს და გლეხებს შეტაკება მოუვიდათ. ამ შეტაკების დროს მოჰკლეს ორი, დასჭრეს ერთი გლეხი. სასამართლომ შეტაკების მომწყობ ორ გლეხს გადაუწყვიტა ტუსაღთა განყოფილება ორი წლით.

**ტაგანროგი**. სასამართლომ განიხილა 6 კაცის საქმე. ამათ ბრალდებოდათ სადგურ ილოვაისკოზე გაფიცვის მოწყობა. სასამართლომ ექვსივენი გაამართლა.

**მოსკოვი**. სასამართლომ გაარჩია 15 სოციალ-დემოკრატის საქმე და გადაუწყვიტა: სამს გადასახლება, ორს სხვა და სხვა ვადით ციხე, დანარჩენები გაამართლა.

**კურსკი**. სოფელ შერეკინოში გადაიწვა 52 სახლი.

**ხოლერა**

**პეტერბურგი**. ორი დღე ღამის განმავლობაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 5, ავად არის 216 კაცი.

**პეტერბურგი**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: ბალახნაში 6, დაბუშში 2, კიევში 14; კიევის გუბერნიაში 17, კოსტრომაში 12, ნიკოლაევსკის მაზრაში 2, ნოვგოროდის გუბერნიაში 1, კრემენჩუგში 2, პონევეჟში 12, ალექსანდროვსკის მაზრაში 9, იაროსლავლში 8. იაროსლავის გუბერნიაში 4 კაცი; ამავე დროს გარდაიცვალა: ბალახნაში 3, დაბუშში 2, კიევში 5, კიევის გუბერნიაში 6, კოსტრომაში 7, სამარის გუბერნიაში 1, კრემენჩუგში 2, პონევეჟში 4, ალექსანდროვსკის მაზრაში 7, იაროსლავში 7, იაროსლავის გუბერნიაში 2 კაცი.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ვაჟებისა და ქალების ერთად სწავლება**. კანონით ნება დართულია, რომ საშუალო სასწავლებლებში მესამე გიმნაზიურ კლასამდე ქალთა და ვაჟთა სწავლება ერთად მოეწყოს. თანახმად ამ კანონისა, ტფ. სათ.-აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტმა პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით დაადგინა, საცდელად მესამე კლასამდე ვაჟებთან ერთად ქალებიც მიიღოს. კომიტეტმა, თანახმად კანონისა, შუამდგომლობა აღძრა კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე ნებართვის შესახებ. კომიტეტმა ამას წინად მიიღო მზრუნველის პასუხი. იგი იტყობინებოდა, რომ ქართულ გიმნაზიის მდგომარეობა შეუძლებლად ჰყოფს ამ საქმეში ასეთ ცდასო. ამ საკითხის შესახებ მოხსენება კვირას, 25 ოქტომბერს, წარედგინება განსახორციელად საზოგადო კრებას. კომიტეტი წინადადებას იძლევა, შუამდგომლობა პირდაპირ სახალხო განათლების სამინისტროს გაეგზავნოს.

✦ **ექსკურსია**. დღეს ტფილისიდან ქუთაისში მიემგზავრება ტფ. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა ექსკურსია. ექსკურსიაში შევლენ ყველა საშუალო სკოლის მოსწავლენი, რიცხვით 350 კაცი, ექსკურსანტები დილით თავს მოიყრიან ვაჟთა პირველსა და მეორე გიმნაზიაში. პირველ გიმნაზიაში თავ-მოყრილნი სამხედრო მუსიკით ვერის ხიდით სადგურისაკენ წავლენ. ნაბერეჟნი ქუჩასთან მათ შეუერთდებიან მეორე გიმნაზიაში თავმოყრილნი. ექსკურსანტებს, ჟუმალეს ადმინისტრაციის განკარგულებით, განსაკუთრებული ვაგონები დაეთმოთ.

✦ **ცეცხლი სუმბათოვოში**. სუმბათოვოდან გვწერენ: „16 ოქტომბერს შუაღამისას რკინის გზის ლიანდაგზე შემთხვევით გამვლელმა დარაჯებმა შენიშნეს ცეცხლი ილ. ალ. საბახტარიშვილის უზარ-მაზარ ორთქლის სახერხავ ქარხანაში. მაშინვე სროლით გამოიწვიეს ხალხი საშველად. ხალხი ძალიან კაციანად გაეშურა საშველად, მაგრამ ცეცხლი სწრაფად გაძლიერდა და ქარხნიდან მოედო მუშების სადგომს. რომ დროზე კარები არ შეემტვრიათ, შესაძლებელი იყო მუშები შიგ გამომწვარიყო. აქედან ცეცხლი გადავიდა კანტორაზე, ბოსელზე და რამდენსამე წამში ყველა გაანადგურა. ბოლოს, როგორც იყო ხალხმა გადაარჩინა დახერხილ მასალის ნაწილი. ახალ დაბნეული მცხოვრებნი სწუხ ნ ქარხნის დაწვას, რადგან აქ შოულობდნენ სამუშაოს და აქვე ასაღებდნენ ტყეებს. როგორც გავიგეთ, საბახტარაშვილი აპირებს მუშაობის განახლებას. ქარხანა დაზღვეული ყოფილა, მაგრამ ზარალი პრემიას აღემატებაო".

✦ **სამასწავლებლო სემინარია**. ბ-ნმა ხრამელაშვილმა ამ დღეებში განცხადება შეიტანა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ. ბ-ნი ხრამელაშვილი ამბობს: ახლო მომავალში ჩვენშიაც შემოიღებენ ერობას, რომელნიც მოქმედების დაწყებისავე შეეცდებიან სოფლებსა და დაბებში სკოლების დაარსებას. საერობო სკოლებს, რა თქმა უნდა, დასჭირდებათ დიდი კონტინგენტი საუკეთესოდ მომზადებულ მასწავლებლებისა და ამიტომ უნდა დაარსდეს ისეთი სემინარია, რომელიც საერობო სკოლებს მისცემს კარგ სახალხო მასწავლებლებს. მცოდნეთ ადგილობრივ ერების ცხოვრებისა, ისტორიისა, ტრადიციისა, ზნეობა-ჩვეულებებისა და ენისაო. კომიტეტი თავის აზრთან ერთად ამ მოხსენებას წარუდგენს განსახილველად საზოგადოების კრებას კვირას, 25 ოქტომბერს.

✦ **სურათის მიღება**. ტფ. გუბერნატორის ნებართვით და ადრევე შემუშავებულ ცერემონიალით კვირას ტფ. პატრიოტული საზოგადოება დიდის ამბით მიეგება სადგურზე ხელმწიფის მიერ გამოგზავნილ მემკვიდრე ცესარევიჩის სურათს. სადგურზე ჰიმნის მღერით პატრიოტებმა მიიღეს სურათი და ყვავილებით შემკობილი წაიღეს პატრიოტულ საზოგადოების სახმო სახლში, ანდრეევის ქუჩაზე. პროცესიამ გაიარა სადგურისა, ელისაბედისა, ქსენიასა, მიხეილისა და ანდრეევის ქუჩები. სამისიონერო ეკკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი და წარმოითქვა პატრიოტული სიტყვები. რამდენჯერმე შეასრულეს ჰიმნი.

✦ **მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება**. კვირას, 18 ოქტომბერს, ტფ. გუბ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებულოში დაიწყო კრება ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ტფ. გუბ. თავ.-აზ. საზოგადოებისა. სხდომა გაიხსნა საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარემ თავ. ჰ. ი. თუმანიშვილმა, თავმჯდომარემ მოაგონა კრებას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაიცვალნენ საზოგადოების წევრნი დ. ზ. მელიქიშვილი, ქრ. მამაცაშვილი გ. ვ. მაჩაბელი და მასწავლებელნი გ. მგალობლიშვილი, გ. დ. აგლაძე, გ. ყაზახაშვილი, ვ. ბ. ლორთქიფანიძე და გ. ვოლსკი. აღნიშნა რა მოკლეთ მათი მოღვაწეობა, წინადადება მისცა კრებას, ფეხზე ადგომით პატივი ეცა განსვენებულთა ხსოვნისათვის, რაც შესრულებულ იქნა, რადგან გამოირკვა. რომ სხდომაზე ძალიან ცოტა წევრი გამოცხადდა, ხოლო განსახილველი ფრიად საყურადღებო საქმეები იყო კრებამ საჭიროდ დაინახა სხდომა შეეწყვიტა და გაგრძელება 25 ოქტომბრისათვის დაენიშნა, მომავალ კვირას საზოგადო კრებას 8-მდე საყურადღებო საქმე წარედგინება. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს წასული წლის ანგარიში, მოხსენება ბ-ნ ხრამელაშვილისა სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ, მოხსენება საბავშვო ბალის შესახებ, სკრის მამულის გაყიდვის შესახებ და სხვა.

✦ **სამართალში მიცემა**. როგორც ვიცით, „ცნობილმა" ნაბოქაულარმა მიქიაშვილმა ლანჩხუთის ბოქაულად ყოფნის დროს სოფლებში ფული მოჰკრიფა და ხაზინაში შეტანის მაგიერ გაფლანგა. ეს ფული სოფლებს ხელმეორედ გადახდევინეს. ცხლა, „კავკ." სიტყვით, ნამესტნიკს დაუმტკიცებია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დადგენილება, რომლითაც მიქიაშვილი სამართალში უნდა მიეცეს. მიქიაშვილი ლანჩხუთიდან ტოლმაჩევმა ოდესაში წაიყვანა და ბოქაულად დანიშნა, მაგრამ აქაც ჩვეულებისამებრ ფული გაფლანგა (12,000 მანეთი) და სამართალში მისცეს.

✦ **დარჩენილი გადასახადი**. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, დაბაფასებელ და სხვა გადასახადების ფული უფრო მეტი შეძლებულებზეა დარჩენილი, ვიდრე ღარიბებზე. ტფ. საბჭოს ხმოსნად ნამყოფ სურენიანცზე, მაგ., 5000 მან. ყოფილა დასაფასებელ გადასახადებისა. რადგან სურენიანცმა თავის ნებით არ გადაიხადა ფული, ვერაზე აგურ-ხანაში აუწერეს 300,000 გამომწვარი აგური და დანიშნეს საჯარო ვაჭრობა.

✦ **სპირიდონ ესაძე**. დღეს ტფილისში ასაფლავებენ არტილერიის პოდპოლკოვნიკს სპირიდონ სპირიდონის ძე ესაძეს. ესაძემ საარტილერიო აკადემია დაამთავრა და სწავლის გათავების შემდეგ საპედაგოგო ასპარეზზე მუშაობდა. ჯერ ტფ. სამხედრო სასწავლებელში იყო მათემატიკის მასწავლებლად და მერე ციმბირში გადაიყვანეს მასწავლებლადვე. ესაძემ ყურადღება მიიქცია ფიზიკისა და მექანიკის საფუძველთა სახელმძღვანელოს შედგენით რუსულ ენაზე. სპეციალისტთა მოწმობით, ეს სახელმძღვანელო ერთი საუკეთესოთაგანია.

✦ **თოფჩიანი**. არზრუმში მოკლულ ტფილისის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის ეგიზე თოფჩიანის სულის მოსახსენებლად 18 ოქტომბერს ვანქის ტაძარში სომხეთა ეპისკოპოსმა სატუნიანცმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი, როგორც ამბობენ, თოფჩიანი პარტიულს ნიადაგზე მოუკლავთ. გაზეთებში თავის დროზე უკვე იყო აღნიშნული, რომ „დაშნაკ ციუთუნის" პარტია ორ ფრაქციად გაიყო, ამ ორ ფრაქციის შორის დიდი მტრობა ჩამოვარდა და თოფჩიანი ამ მტრობის მსხვერპლი გამხდარა.

✦ **კენჭის ამოღება**. 16 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, ტფილისში დაამთავრეს კენჭის ამოღება ჯარში გაწვეულებმა. წრეულს ჯარში გაწვეულია 600 კაცი. 17 ოქტომბერს ექიმები შეუდგნენ შემოწმებას.

✦ **ხუროების მდგომარეობა**. ჯერ ისევ მოძრაობამდე ხუროებსა და ქარხნების პატრონებს შორის დაიდო პირობები. მუშები ამ პირობებში მუშაობდნენ. მაშინ თითო ვერშოკი 7 კაპეიკად იყო, შემდეგ შაურზე ჩამოვიდა და დღემდე შაურის ანგარიშით მუშაობდნენ. ეხლა მექარხნეებს გადაუწყვეტიათ, სამუშაო ფასი დაუკლონ და შაურის ნაცვლად ვერშოკზე ოთხი კაპეიკი მისცენ. ამ ჟამად მუშათა მდგომარეობა ისედაც აუტანელია. ცხოვრება გაძვირდა, ყველაფერს დიდი ფასი დაედო და მექარხნეები კი მუშებს ხელფასს უმცირებენ.

✦ **პოლიცმეისტრის თანაშემწე**. ამბობენ, ტფ. პოლიცმეისტრის თანაშემწედ ინიშნება კაპიტანი სტროევი. სტროევი ამ ჟამად თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწეა.

✦ **გიმნაზია სოხუმში**. სოხუმიდან გვატყობინებენ: ადგილობრივ ექვს კლასიან პროგიმნაზიას მიუმატეს კლასი მოუმატეს. ამრიგად, სოხუმს ამის შემდეგ გიმნაზია ექნება.

✦ **სომხების დაბრუნება ოსმალეთში**. როგორც გაზეთ „მშაკს" სარაყამიშიდან ატყობინებენ, ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ოსმალეთში 900 სომეხი დაბრუნებულა.

✦ 18 ოქტომბერს მადათოვის კუნძულზე კირაკოსოვისა და ვართანოვის საელექტრონო სადგურში მისულა მაკიჩა დარიბოვი მანქანის გასაწმენდ ჩვრების მისასყიდად. უფროს მექანიკოს უთხოვნია დარიბოვისთვის, ისიც სადგურის მუშებს დახმარებოდა მანქანის ბორბლის გადატრიალებაში. ბორბალი გადატრიალებულა და დარიბოვი ჩაუთრევია. გრძნობა დაკარგული, დაჟეჟილი დარიბოვი საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გადაიცვალა.

✦ 18 ოქტომბერს გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ ნინო ხოლიმსკაიასთვის ქურდებს მოუპარავთ 2080 მანეთის ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს მზარეული მელიტონ ბაქრაძე.

✦ ტფ. პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი და თავიანთ ნებით დაბრუნებულნი ალექსანდრე აპრესიანცი, გაზარ იაზიძკი-ოღლი და ბაღდასარ გუკასოვი.

**ქუთაისი**

✦ **არაჩვეულებრივი ჯილდო**. როგორც უკვე მოგეხსენებათ, 11 ღვინობისთვეს დასრულდა ქუთაისის გამოფენა. ორშაბათ დილით სულ რამდენსამე საათში მიცარიელდა გამოფენის ტერიტორია. ვინ როგორ დაასაჩუქრეს, ეს ჯერ არ ვიცით, მაგრამ ერთმა ექპონატთაგანმა ჯერ გამოფენის დახურამდეც-კი მიიღო საარაკო ჯილდო. როგორც იცით, გამოფენაში ბევრმა ვაჭარმა მიიღო მონაწილეობა და მათ შორის ყველაზე მეტი სიუხვე ბ-ნმა სტეფანე ფეიქაროვმა გამოიჩინა. საჭიროა პატარა წინასიტყვაობა: ამ ორი წლის წინად ქუთაისში ცნობილმა რკინეულობით მოვაჭრემ სტეფანე ფეიქაროვმა შესწყვიტა ნისიების გასტუმრება. მისი სავაჭრო სხვის სახელზე გადავიდა და მოვალეები ხახა მშრალნი დარჩნენ. ასე მიდიოდა საქმე აქნობამდე. მაგრამ დახეთ ხიფათს: მოიგონეს რაღაც გამოფენა, აუშალეს საღერღელი ბ-ნ ფეიქაროვს და მანაც მოისურვა ქების ფურცლის მიღება. ამ აზრით თუ რამე ხეირიანი საქონელი ან მანქანა ჰქონდა თავის ყოფილ სავაჭროში —ყველა გამოფენაზე გამოიტანა, დაიჭირა ვეებერთელა ადგილი, დააწყო ლამაზად საქონელი და კედელზე არა ნაკლების სილამაზით და დიდრონის ასოებით გამოკრა: „სტეფანე ფეიქაროვი"-ო. თურმე ამ დროს არ ეძინა ეშმაკს. ერთ მშვენიერ დილას ვაჭარს წაადგა ერთი კაცი. ბ-ნ ფეიქაროვის წინ იდგა თურმე მოვალე სასამართლოს ბოქაულით და ხელში ქების ფურცლის ნაცვლად აღმასრულებელი ფურცელი ეჭირა. „ვისია ეს საქონელი?" იკითხა ბოქაულმა. კითხვა-კი მეტი იყო. თვით კედლის წარწერა მოწმობდა საქონლის პატრონის ვინაობას... შეაყენეს ოქმი და რამდენიმე ათას მანეთის საქონელი აწერეს. მოხსენებულ მოვალეს შეუძლიან გამარჯვება იდღესასწაულოს და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს გამოფენის გამმართველნი..!

## ცეცხლი სურამში

(წერილი სურამიდან).

შაბათს, 17 ოქტომბერს, ღამე, სურამის აღმოსავლეთ ნაწილში, ებრაელების უბანში, გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი პირველად გაჩნდა ერთ მდიდარ ებრაელის სახლში და ისე მსწრაფლ მოედო, რომ ფულის გადარჩენაც კი ვერ მოასწრეს თურმე, ცეცხლი თვალის დახამხამებაზე მოედო მთელს ებრაელთა უბანს და სულერთიან გაანადგურა.

ჯერ გამორკვეული არ არის, მაგ-

რამ ამბობენ კი, რომ დამწვარია ას-ოც კომლამდე.

სურათი მეტის მეტად გულშემზარავი იყო. ტირილი, კივილი, ხვეწნა-მუდარა, საშველად მოწოდება ყველას,—ერთმანეთში არეული ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა.

დაიწვა ებრაელების სალოცავიც (თორა), ხალხის მხნე მოქმედებამ იხსნა მთელი სურამი დაწვისაგან. ეს ამოდენა ხალხი უტანისამოსოდ და უსურსათოდ დარჩა ღვთის ანაბარა.

## ტფ. წვრილ ვაჭართა საზ. გამგეობის საყურადღებოდ

(წერილი რედ. მიმართ).

ამ დღეებში ქართულ გაზეთებში ახალ ამბებს შორის ამოვიკითხე, რომ ტფ. წვრილ ვაჭართა პროფ. საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, წელსაც, წარსული წლის მსგავსად, დაეხმაროს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებას ერთი დღის ნავაჭრიდან პროცენტების გადადებით. ამ დღედ ნოემბრის ოც-და-სამი რიცხვი აურჩევიათ. დიდის სიამოვნებით ვეგებებით ამ ფრიად სიმპატიურ განზრახვას და ვუსურვებთ ნაყოფიც შედგეს.

მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლიან ერთი პატარა რჩევა არ მივცეთ გამგეობას: როგორც წარსული წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, ამ საქმეს კარგი მოწყობა სჭირია. საჭიროა წინასწარ კრების მოწვევა, როგორც წევრთა, ისე არა წევრთა, ვინც კი თანაუგრძნობს ისეთ ეროვნულ კულტურულ დაწესებულების წარმატებას, როგორიც არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს წინასწარი კრება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან ერთად შეიმუშავებს იმას, თუ რით და რანაირად მისცენ ამ დღეს განსაკუთრებული ელფერი. ამავე დროს ყველა უბანში უნდა დაარსდეს კომიტეტი. ამ კომიტეტების მოვალეობა იქნება იმუშაონ ვაჭრებში და რაც შეიძლება მეტს მიაღებინონ მონაწილეობა. მე მგონია, აჩქარება არ უნდა ამ საქმეს. აჩქარება იყო წასული წლის 28 მაისის ვაჭრობა, რომ მოსალოდნელი ჯამი შემოსავალისა ვერ შედგა. გძელი დრო მოგვცემს საშუალებას თავიდან ავიცილოთ ისეთი არევ-დარევა, როგორიც მოხდა 28 მაისს.

ვაჭარი ნ. ჭ—შვილი.

## მოშორილი ამბები

**ქიზიყი.** წელს ჩვენში კარგი მოსავალი იყო ხორბლისა და ხალხი ცოტა წელში გაიმართა. ესეც არ ითქმის ღვინის მოსავალზე. ნამეტნავად ანაგას ქვემოდ ღვინის ძალიან უხეირო მოსავალი მოვიდა. ასე რომ ღვინის ფასებმა აიწია. თვით სიღნაღში მაჭარი სამ ოთხ აბაზად იყიდება თუნგი.

ხალხი გუთნებზე გა შალა. ვერ გვედირსა და ვერა მაშინებით ხვნა-თესვა...

ჩვენში არსად არ შევხვედრივარ სამეურნეო გაზეთს „მთმავალს“ ნეტავი ვიცოდეთ ვისთვისა სცემენ გაზეთს, რომ რომ აქეთკენ არც-კი ჰგზავნიან გასასყიდად!

ჩვენშიაც, ცოტა არ იყოს, აქა იქ ალაპარაკდნენ ერობის შესახებ. ძალიან გვაწყენს, რომ ქიზიყის მომრიგებელმა შუამავალმა თავ. ალ. დ. ჯორჯაძემ, რომელსაც ჩვენ სულ სხვა იმედებით შევყურებდით, გაილაშქრა წვრილ საერო ერთეულზე. გლეხები იძახიან. ჩვენ იმიტომ არავართ მომზადებულნი თვითმმართველობისთვის ზოგიერთების თვალში, რომ ეგენი შორიდან და ზევიდან გვიყურებენ, თორემ აბა მოგვაცილონ ოჯკა და ნახავენ, მომზადებულნი ვართ თუ არა თვითმმართველობისთვისაო.

ძალიან ეშურება ჩვენი თ.-აზნაურება ბედნულ-მამულის გაყიდვას უცხო ხალხზე. ამ მოკლე ხანში თავ. აბაშიძეები და ანდრონიკაშვილები ჰყიდიან მამულებს რუსებზე კაჭრეთის სადგურთან. ალაზნის გაღმა მხარე ხომ გაივსო მოსული ხალხით. სასურველია, რაც შეიძლება მეტი იმერლობა დასახლდეს იქ.

ყველგან სწავლობენ, სკოლები დაიარსნენ და სოფ. ვაქირში კი ამდენი ხნის სკოლა ლამის დაკეტონ. მასწავლებელი სოფლის მოხელების ბნელ ინტრიგებს აბრალებს, სოფლები კიდევ მას უჩივიან—არ იღებს ჩვენს შვილებს სკოლაშიო. სკოლის სახლი საფუძვლიან რემონტს თხოულობს და შიგ კანცელარია მოუთავსებიათ. სკოლისთვის დაქირავებული შენობა კიდევ პატარა და უვარგისია. სხვა რომ არ იყოს რა, სოფ. ვაქირში სამი მღვდელია, მათ მაინც მიიღონ რაიმე ზომები და ჩაგონონ ხალხს—რომ შვილისთვის ხარჯი არ დაიშურონ.

ვაქირელი.

—

**ლარსი** (საქართველოს სამხედრო გზა). საქართველოს სამხედრო გზაზე ავტომობილის მიმოსვლა გახშირდა. ხშირად მგზავრებს ცხენები უფრთხებათ და უბედურება ხდება. ენ.ენისთვის შუა რიცხვებში ერთს მთიულს მდეთში დაუფრთხა ცხენი, ურმიანათ გადაჩეხა გზას იქით და სულ დაამტვრია. ლარსის სადგურის მახლობლად ერთს ორს ურემში შებმული ცხენი დაუფრთხო, გადააგდო გზას იქით, ურემი სულ დაულეწა და სისაწყლით ხაყიდი სიმინდი სულ მიუფანტ-მოუფანტა. სამს ამ თვეს სადგურს ყაზბეგსა და ლარსს შუა წამოეწია ავტომობილი კაგკაზში მიმავალ კობელ ოსებს და დაუფრთხო ცხენები. ერთი ურმის ცხენი დაეჯახა კლდეს და მიამტვრია ურემი. თითონ პატრონი შეახეთქ კლდეს, გაუტეხა თავი და გაგორდა უგრძნობელი. მეორე ოსიც დაშავდა, მაგრამ მალე მოსულიერდა. პირველი კი ვეღარ მოსულიერეს. დააყენეს ავტომობილი, შეუხვიეს გატეხილი თავი, შეუწყვიტეს სისხლი, ჩააწვინეს ავტომობილში, წაიყვანეს კავკავში და საავადმყოფოში გაგზავნეს. ხშირია ხოლმე ასეთი შემთხვევა. საინტერესოა ვიცოდეთ: ამისთანა შემთხვევის დროს ავტომობილის პატრონი მოვალეა თუ არა აანაზღაუროს ზარალი?

წელს აქეთ, ე. ი. ხევში, მოსავალი ნაკლები მოვიდა.

ქართველი ოსებში.

—

**რაჭა** 3 ოქტომბერს მაზრის უფროსმა ონში დაიბარა რაჭის მაზრის მამასახლისები. სხვათა შორის მაზრის უფროსმა გამოუცხადა მამასახლისებს: მივიღე ბრძანება, რომ თითო საზოგადოება ორი ათას კომლისგან უნდა შესდგესო და ჩვენც ასე გავყოთ რაჭაო. რაჭაში იქნება სულ ხუთი საზოგადოება: ღებისა, ჩასვლისა (ოსების) ბარისა, ნიკორწმინდისა და ბუგეულისა. ამ საზოგადოებების საქმე იქნება გზების გაყვანა, ხიდების გამართვა და სხვა საქმე. შეიძლება წელიწადი კიდევ დაგვიანდეს, მაგრამ ეს განაწილება-კი ნამდვილად მოხდებაო! მამასახლისებმა მოისმინეს ეს ამბავი და დაიშალნენ. მაზრის უფროსმა ისიც უთხრა მამასახლისებს, რომ ერობა იქნება შემოღებულიო.

ი. ი—ძე.

## სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

ამ ჩვიდმეტი წლის წინად ტფილისში შესდგა მცირე ჯგუფი მუშებისა და ინტელიგენტებისა, რომელმაც თავი მოუყარა ქართულ სცენის მოყვარეებს და შეუდგა სისტემატიურ სახალხო წარმოდგენების მართვას რკინის გზის სახელოსნოების პატარა თეატრსა და ავჭალის ქუჩაზე, სახალხო აუდიტორიაში. როგორც პირველ საქმეს, ჯგუფს ბევრი დაბრკოლება გადაელობა, მაგრამ მან დასძლია ეს დაბრკოლებანი და საქმე გაამაგრა. წარმოდგენები მეტად იაფ-ფასიანი (5 კაპ.) იმართებოდა და ღარიბი ყოველთვის ბლომად ეტანებოდა.

მოძრაობამდე ჯგუფი, წოდებული ქართულ სახალხო წარმოდგენების სექციად, მუშაობდა ყოველ სეზონში. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს სახალხო წარმოდგენების საქმე შეჩერდა. მაგრამ ზუბალაშვილის სახალხო სახლის მოწყობის შემდეგ, სცენის მოყვარეთ კვლავ მოიყარეს თავი, შეიერთეს ახალი სცენის მოყვარენი და სახალხო უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ განაახლეს მოქმედება. მეორე წელიწადია სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების საქმე მშვენივრად მიდის. ჯგუფმა რეჟისორად მიიწვია დახელოვნებული მსახიობი, ბ-ნი შათირიშვილი, და მიიწვია ახალი მუშაკნი.

ბოლო დროს სახალხო წარმოდგენების მეთაურთ აზრი დაებადათ სახალხო უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად მოქმედებისა. წრემ მოლაპარაკების შემდეგ, მიიღო კიდეც ეს აზრი და შესაფერი წესდება დაამტკიცებინა.

კვირას, 18 ოქტომბერს, ბ-ნ ნ. ხ. ელიავას თავმჯდომარეობით, მოხდა კრება წრის დამაარსებლებისა. კრებას უნდა გაეცნო ახლად დამტკიცებული წესდება და აერჩია წრის გამგეობა და სარევიზიო კომისია. ვიდრე მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგებოდნენ, ინიციატორებმა დამსწრეთ გააცნეს ის მიზეზები, რამაც აიძულა წრე სახალხო უნივერსიტეტს განშორებოდა. უმთავრეს მიზეზად ის არის დასახული, რომ არსებითად სექციას 17 წლის ისტორიის მქონეს, არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს სახალხო უნივერსიტეტთან. სექცია ფაქტიურად დამოუკიდებელია, იგი თვით აწარმოებს წარმოდგენების საქმეს, ადგენს რეპერტუარს, უძღვება ხარჯს, იწვევს სცენის მოყვარეებს და მსახიობებს და სხვა. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას ერთხელაც არ უკითხავს, რა მდგომარეობაშია სექცია, რა დახმარება ეჭირვება, როგორ მიჰყავს საქმეები და სხვა. სექცია თუ მოეკიდა სახალხო უნივერსიტეტს, მხოლოდ იმ აზრით, რომ ბინა გაეჩინა ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ეხლა გარემოება ისე მოეწყო, რომ სექციამ აუცილებელ საჭიროებად დაინახა საკუთარ დროშით გამოსვლა. დამოუკიდებლობა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაფართოვოთ მოქმედებაო.

თავმჯდომარემ განსახილველად დააყენა საკითხი: წრემ ეხლავე დაიწყოს დამოუკიდებელი მოქმედება, თუ დაუცადოს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის უკანასკნელ სიტყვას. როცა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გაიგო, რომ სექცია დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობას აპირებსო, სხდომა მოახდინა და დიდს ხანს ითათბირა ამ საკითხის შესახებ, გამგეობამ აირჩია განსაკუთრებული კომისია და დაავალა გაცნობა საქმისა და მოხსენების წარდგენა. აი, ამ დადგენილებაზე მიუთითა კრებას თავჯდომარემ და სთქვა, რადგან საქმის გამწვავება სასურველი არ არის წარმოდგენების მართველ წრისათვის, ამიტომ კარგი იქნება ანგარიში გაუწიოთ უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებასაო. პირადად მე იმ აზრისა ვარო, სთქვა თავმჯდომარემ, რომ წრე უსათუოდ საკუთარი დროშით უნდა გამოვიდეს, რადგან იგი ფაქტიურად მაინც ცალკე მოქმედებს და სახალხო უნივერსიტეტი არც კი კითხულობს, რას აკეთებს სექცია.

თავჯდომარის წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

ვ. ჭიჭინაძემ (სახალხო უნივერს. გამგეობის წევრი) სთქვა: სახალხო უნივერსიტეტი მოსურნეა ყოველ დარგში ემსახუროს სახალხო საქმეს და ამიტომ იგი, სხვა და სხვა სექციად დაყოფილი, განაგრძობს მუშაობას. გამგეობამ რომ გაიგო წრის სურვილი, კომისია აირჩია საქმის გამოსარკვევად შემდეგ, წესდებას თუ გავიცნობთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ახალი წრე ანტი-დემოკრატიულ ნიადაგზე აპირობს მოწყობას და ეს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისათვის არ არის სასურველი. თუ სახალხო უნივერსიტეტს საზოგადოება და მისი გამგეობა ღირსია პატივისცემისა, უსათუოდ უნდა მოუცადოთ უნივერსიტეტის გამგეობის უკანასკნელ სიტყვას. წრე ანტიდემოკრატიულია მით, რომ წესდებით წევრთა რიცხვი განსაზღრულია და მერე საწევრო ფული 5 მანეთამდის ადის. ვის შეუძლიან 5 მან. გადაიხადოს და ვინ ჩაეწერება ამ წრეში?

ილ. ზურაბიშვილმა სთქვა: მეც მოწამე ვარ იმისა, თუ როგორ დაიბადა აზრი ჩვენის წრის დამოუკიდებლობის შესახებ. 1907 წელს შევადგინეთ წრე და დავიწყეთ მოქმედება. მივეკედლეთ სახალხო უნივერსიტეტს და ვსთხოვეთ დახმარება. ამ სამიწლის განმავლობაში საუნივერსიტეტო საზოგადოების დახმარება გამოიხატა მხოლოდ 150 მან. გადმოცემაში. შემდეგ სრულიად ბუნებრივად შესწყდა დამოკიდებულება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან. გამგეობას დღემდე არც-კი, უკითხავს, ჩვენ ვარსებობთ თუ არა. აქამდე უნივერსიტეტის გამგეობას არავითარი დახმარება არ გაუწევია და წელში გავმაგრდით. ამის შემდეგ გამგეობამ რაც უნდა დაადგინოს, ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენ საბოლოოდ გადაწყვეტილი გვაქვს დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ და საკუთარ დროშის ქვეშ ვიმუშაოთ. სახალხო უნივერსიტეტს შეუძლიან ახალი სექციაც შეადგინოს, მაგრამ საკითხია, როგორ წაიყვანს ახალი სექცია საქმეს და ვინ იქნება ამ სექციაში.

ი. რამიშვილმა თავმჯდომარეს უსაყვედურა, რომ კრება გამგეობის ასარჩევად არის მოწვეული და რა საჭიროა სხვა საკითხების განხილვაო... თუ წესდების უხეირობაზე ლაპარაკობთ, საქმე იმაში კი არ არის, თუ საწევრო გადასახადი რამდენია, საქმე ისაა, რომ წარმოდგენები წრემ ხალხის ხელ მისაწდომად გახადოს. ყოველ შემთხვევაში წესდების კრიტიკის დრო ეხლა აღარ არის. ჩვენ გამგეობა უნდა ავირჩიოთ და მას მივანდოთ წესდების შესწორებაცაო.

კამათ. ნაშუადღევის სამ საათამდე გასტანა. კრებამ, დასასრულ, დადგინა, არჩეულ იქნას გამგეობა და დაიწყოს წრემ მოქმედება დამოუკიდებლად; ამასთანავე დაევალოს გამგეობას მოლაპარაკება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან შესათანხმებლად.

გამგეობის წევრობად არჩეულ იქმნენ: ლ. ვახვახიშვილი, გ. მ. ლასხიშვილი, ნ. ზ. ელიავა, ტოროშელიძე, ს. სვირელი, მ. დემურია და დ. დუმბაძე. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ვას. ხახანაშვილი, ს. ღვთისავარიშვილი და ივ. ჯაფარიძე.

რადგან კრებამ საჭიროდ სცნო წრის წესდების შეცვლა, დაადგინა, დაევალოს ეს საქმე გამგეობასა და სარევიზიო კომისიას.

## სასამართლო

**ტყიბულაში ჯარზე თავ-დასხმა.**

რევოლიუციონურ მოძრაობის დროს, 1905 წელს, ს. ტყიბულაში მადნების დასაცავად ქუთაისიდან გაგზავნილ იქმნა მე-8 როტა ბესარაბიის პოლკისა. ჯარი ასე განაწილებულა: როტის უფროსი კაპიტანი ლაჩინოვი 18 ჯარის-კაცით მოთავსებულა იქ, სადაც მადნებია, ხოლო დანარჩენთ 13 კაცი უნტერ-ოფიცრის ბურლაჩკის უფროსობით დარჩენილა სადგურზე და დაბინავებულა ორ ვაგონში. საღამოთი კაპიტან ლაჩინოვს მიუღია ცნობა მადნების გამგის ინჟინერ შაფფისაგან, რომ ქუთაისიდან მოდის მატარებელი, გაფიცულებით სავსე, და მათ დასახვედრად ემზადებიან მილიციონერებიო. კაპიტანს უნტერ-ოფიცრისთვის უცნობებია ეს გარემოება და გაუფრთხილებია, თუმცა ინჟინერს უცნობებია, რომ ზავი ჩამოწვა და მატარებელი აღარ მოვაო. უნტერ-ოფიცერს ბურლაჩკას უბრძანებია ჯარის-კაცებისთვის, ტანისამოსი არ გაეხადნათ და მზად ყოფილიყვნენ. გარ ედ-კი ყარაული დაუყენებია.

ნაშუაღამევის სამის ნახევარზე ყარაულს სერიკოვს წყალი მონდომებია. ამხანაგისთვის გადაუცია თოფი და წასულა დასალევად. წყლის სმის დროს დასცემიან სერიკოვს და ხმა ამოუღებლად გაუტაცნია ოთხ შეიარაღებულ უცნობს. ეს დაუნახავს მისს ამხანაგს, ჯარის-კაცს ჟუვანს, შემტ.რა ვაგონში და დაუყვირნია: „ყმაწვილებო, ხელი თოფებს, ქართველები მოგვბიანო“, მძინარე ჯარის-კაცები მაშინვე წამომხტარან ზეზე თოფებით, მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდან უკვე აუტეხნიათ სროლა, რის დროსაც დახოცილან ჯარის კაცნი ი. უჩანოვი და ლ. კარპენკო და დაჭრილან ს. ჟუვანი, ა. დონეცი და ეფრეიტორი გ. კოსტიუჩენკო. თავ-დამსხმელთ უსროლიათ ორი ყუმბარა, მაგრამ უნაყოფოდ. ამტყდარა დიდი სროლა. ჯარის კაცები პატარა ხანს ვაგონში მომწყვდეულან, მაგრამ მალე გამოსულან და სროლითვე გაუციათ პასუხი, რაც გათენებამდის გაგრძელებულა. დილით ჯარის-კაცებს მიშველებია კაპიტანა ლაჩინოვი მილეციონერები მთისკენ გაუქცევიათ. მერე დაუტოვებიათ დახოცილები და დაჭრილები და მწყობრად წასულან ქუთაისისაკენ.

ამ ამბის შემდეგ ტყიბულის ჟანდარმს უნახავს კონდუქტორების ოთახში დაჭრილი ყმაწვილი, ქუთაისის სადგურის ყოფილი მსახური ი. კუცია, აღმოუჩენია მისთვის დახმარება და სხვათა შორის გამოუკითხნია მომხდარ ამბავზე. კუციას ამხანაგად დაუსახელებია ვინმე კონდუქტორი ბასილაშვილი და უამბნია, თუ მას რამდენი ყუმბარა ჰქონდა, და როგორ დაიჭრა სროლის დროს. როდესაც გაუგიათ ბასილაშვილის მონაწილეობა ტყიბულის საქმეში, დაუწყვიათ მისი ძებნა და მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაუტუსაღებიათ ბელაორის სადგურზე. შემოწმების დროს მას მართლა აღმოსჩენია ჭრილობის ნიშნები. ყველა ამას საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს.

ბასილაშვილი სამართალში მისცეს ეს საქმე 14 ოქტომბერს განიხილა სამოსამართლო პალატის სესიამ ქუაისში.

ბრალდებულმა არტემ ბასილაშვილმა (იგივე პართენ კამკამიძე) თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, რომ ჯარის-კაცებზე თავ-დასხმის დროს მე ს. გორისხევში ვიყავი, რადგან ადგილი აღარა მქონდა რკინის-გზაზეო. რაც შეეხება ჭრილობას, ბათუმში ამხანაგებში ხუმრობის დროს უცაბედად დავიჭერიო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბასილაშვილი და მიუსაჯა 15 წლით კატორღაში გაგზავნა.

**ქ უ რ დ ო ბ ა.**

1909 წელს 31 იანვარს ივრის ქ-ჩის მცხოვრებ მუშებს ასატურ ყაზარიანცს, მაკარ ტერ-პეტროსიანცს და ოჰანეზ დავიდიანცს დაუკეტნიათ თავიანთ სადგომის კარები და წასულან სამუშაოდ. როდესაც საღამოთი დაბრუნებულან, ოთახის კარები გატეხილი დახვედრიათ და მასთან ყველა ნივთები (300 მანეთისა) გატანილი. იმათ ეს გარემოება შეუტყობინებიათ პოლიციისათვის და თვითონ მაინც შესდგომიან დაკარგულ ნივთების ძებნას.

ამავე საღამოს ცოტა გვიან ყაზარიანცი შესულა თავის ნაცნობთან, ეგიკ ამირხანიანცთან და იქ უნახავს სრულებით მოულოდნელად ნივთები, რის შესახებაც პოლიციისათვის უცნობებია.

ამირხანიანც პოლიციისთვის შემდეგი უთქვამს: ჩემთან მოვიდა ერთი ყმაწვილი და მითხრა მეყიდნა ნივთები და მთხოვა 18 მანეთიო. მე დავთანხმდი, წამიყვანა სადღაც თავლაში და გადმომცა ეს ნივთებიო.

ამირხანიანცი სამართალში მისცეს. 19 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ამირხანიანცი მოპარულ ნივთების ყიდვაში და მიუსაჯა ორი თვით პოლიციაში ჯდომა, ხოლო კარების გატეხაში-კი გაამართლა.

**პოლიტიკური საქმე.**

19 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბასილეთის მცხოვრების კოწია კალანდაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება.

სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო კალანდაძე და გაამართლა.

## ქალაქის თავის არჩევა თელავში

ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა არც ისე უმნიშვნელო ორგანოს წარმოადგენს, რომ საზოგადოების მხრივ ყურადღების ღირსი არ იყოს. იგი მართლა რომ ასრულებდეს თავის დანიშნულებას, ყველა საჭირბოროტო საკითხში ინიციატივას კისრულობდეს და მოქალაქეთა ინტერესებს მაინც იცავდეს, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. მაგრამ თელავის თვით-მმართველობა ყველა ამას მოკლებულია. მოკლებულია იმისთვის, რომ წინად ქალაქს არა ჰყავდა შესაფერი მოურავი, ხოლო ეს მესამე წელიწადია, სრულებით უთავოა.

არა ჰყავს თავი, რომ ქალაქის ცხოვრების სათავეში ჩადგეს და იზრუნოს იმის კეთილდღეობისათვის. ზედ-მეტი უბედურება ის არის, რომ ქალაქის რწმუნებულთ, ე. ი. „მამებს“, პირდაპირ შეიძლება ითქვას, არ უნდათ ასეთი კაცის გამონახვა, რადგან მათში, უმრავლესობაში მაინც, გამეფებულია ნათესავ-ნაცნობობა და ნათლი-მამობა...

ქალაქის მოურავის არჩევნები, როგორც იყო, დანიშნეს 6 ოქტომბრისათვის (თუმცა ამის შესახებ მოწერილობა გუბერნატორისა ორი თვის წინად მოსულიყო, მაგრამ ალბად მოურავის მოადგილე ბ-ნი ყულიჯანოვი მარჯვე დროს უცდიდა). მოურავის კანდიდატის შესახებ ჯერ არაფერი ისმოდა. ლაპარაკობდნენ თავ. ალ. ვახვახიშვილზე, რომელიც ცნობილია თელავში, როგორც პატიოსანი კაცი და ამასთან მიუდგომელი. თავ. ვახვახიშვილისთვის წინადაც ეთხოვნათ, მაგრამ არ იკისრა და თუმცა ეხლა ჯერ არავის ეთხოვნა და არც იცოდნენ დასთანხმდებოდა თუ არა, რომ ამ ხმამ, ნათლი-მამა ალებს ძილი დაუფრთხო. დაფაცურდნენ: ლუკმა ისევ ჩვენ ჯამში ჩავაგდოთო და რადგან ჯერ თავიანთი კაცი გამონახული არა ჰყოლოდათ, 6 ოქტომბრის კრება, როგორც დღევანდელ კრებაზე გამოირკვა, არ მოეხდინათ.

14 ოქტომბრამდე ხმები დადიოდა, რომ „გალავად ისევ მიხაკა თათუზოვი“ მოჰყავთო. მაგრამ ბევრს არა სჯეროდა. ბ-ნი თათუზოვი დიდი ხანი იყო მოურავად და არავინ იყო მისი მადლობელი. ბოლოს წავიდა კიდეც.

ყველას საინტერესოდ მიაჩნდა ეს დღე და მეც გავეშურე გამგეობისაკენ. ამ საღამოთი კარგა ხალხს მოეყარა თავი, რაიც თურმე ძლიერ ეუცხოვათ ქალაქის ალებს და ზოგს ხომ ეწყინა კიდეც, ჩვენი ხვრინვა არ გაიგონო.

მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ, თავმჯდომარემ ბ-ნმა ყულიჯანოვმა გამოაცხადა, მოურავს თანამდებობაზე კანდიდატები დაასახელეთო, და დაუმატა—მე წინანდელ მოურავს მიხეილ ივანის ძეს თათუზოვს ვასახელებო. ხმოსნები სიჩუმით მიეგებნენ. კანდიდატების დასახელების შემდეგ ყუთი დაუდგეს [illegible] სხვისთვის არავისთვის დაუდგავთ და არც საჭირო [illegible] ტი ოქროს კაცი რომ ყოფილიყო, მაინც გააშავებდნენ. მაგრამ დახეთ უბედურებას, ყველა ნათლი-მამა არ მიემხრო თათუზოვს, 7 თეთრი ამოუვიდა და 6 შავი კენჭი, რამაც აყალ-მაყალი გამოიწვია. თავმჯდომარე მიემხრო ბ-ნ თათუზოვს და კენჭის დათვლის შემდეგ გამოაცხადა, „მიხელ ეგორიჩი“ გავიდაო.

ასე გათავდა ქალაქის მოურავის არჩევანი.

დამსწრე.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ძველი მელოდრამა „ორი ობოლი“ ძალიან მოსწონს ჩვენს საზოგადოებას: კვირას საღამოთი ბევრი ცრემლი დაიღვარა ქართულ თეატრში. ზოგი მწარედ დასტიროდა ობლების უბედურებას, ხოლო მეხუთე მოქმედებაში, სადაც გულკეთილი პიერი ავაზაკ ჟაკს მოჰკლავს და, ამ რიგად, კეთილი გაიმარჯვებს და ბოროტება დაისჯება, ისეთი ტაშის ცემა ასტყდა, რომ თეატრმა ზანზარი დაიწყო. მელოდრამამ მწყობრად ჩაიარა. ჩვეულებრივ ხელოვნურად შესრულდა ფროშარის როლი ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ. ეს როლი საუკეთესოა დამსახურებულ მსახიობის რეპერტუარში. ამავე წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ბ-ნი სვიმონიძე, რომელმაც კარგად შეასრულა ჟაკის როლი. საზოგადოებას მოეწონა აგრეთვე ტასო აბაშიძე, მდივანი, კარგარეთელი, გვარაძე, გამყრელიძე, ზარდალიშვილი და სხვანი. მირიანას როლს ასრულებდა ახალი მსახიობი ვ. შარაძე.

პატარა შენიშვნა რეჟისორს. უკანასკნელ მოქმედებაში შკაფს გაკრული ჰქონდა ორი გაზეთი. ერთი ფრანგული იყო, მეორე-კი, თუმცა ყირამალა მიეკრათ, მაგრამ მაინც ამოიკითხავდით „ზაკავკაზიეს“. ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებით, „ზაკავკაზიე“ პარიზში არ უნდა იყოს გავრცელებული და ამას გარდა დავარწმუნებთ რეჟისორს, რომ მაშინ, როდესაც „ორი ობოლი“ დაიწერა, „ზაკავკაზის“ სახსენებელი არ იყო არა თუ პარიზში, ჩვენშიაც-კი.

—

**წარმოდგენა და კონცერტი.** 26 ოქტომბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სამკითხველოს გასაუმჯობესებლად გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. წარმოადგენენ ახალ პიესას, ფრანგულიდან ნათარგმნს „ბატონ დირექტორს“. მონაწილეობას მიიღებენ საარტისო საზოგადოების სცენის მოყვარენი. საკონცერტო განყოფილებაში მონამონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერალნი და მემუსიკენი.

—

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ და „დედის ერთა“.

## შარი-ზონდი

სექტემბრის 23-ს, ნაშუადღევის 12 საათსა და 37 წუთზე ტფილისის ობსერვატორიამ გაუშვა ჰაერში მფრინავი შარი-ზონდი. შარს ზედა ჰქონდა მობმული თვითმწერავი აპარატი—მეტეოროგრაფი, რომელიც წარმოადგენს თვით-მწერავ ტერმობარომეტრს ანუ ჰაერის სითბო-სიცივის და სიმძიმის საზომს.

მეტეოროგრაფი სწერს თეთრს ხაზებს შავად გამურულ ქაღალდზე, ქაღალდი არის დახვეული პატარა ალუმინიის ვალზე; ვალიკი მოძრაობაში მოჰყავს საათის მექანიზმს.

შარი ჯერ გაფრინდა ჩრდილოეთისკენ და ჩრდილოეთ დასავლეთისკენ და ერთი ვერსის სიმაღლიდან გადაუხვია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ამ მხარეზე მიფრინავდა ხუთი ვერსის სიმაღლემდის, როდესაც დაიმალა ღრუბელში. ჩემი ანგარიშით შარი უნდა ჩამოვარდნილიყო თელავის და თიანეთის მაზრების საზღვარზე, სოფელ ახმეტას მახლობლად.

სექტემბრის 24-ს საღამოთი ობსერვატორიამ მიიღო დეპეშა თელავიდან, რომ შარი ჩამოვარდა სოფელ ახმეტის მახლობლადო. იგი ეპოვნა

აწყურელ მენახირეს შაქრო გიგაურიშვილს. შაქრომ მიამბო შემდეგი:

„ჯინჯიანი დღე იყო. დილით ცოტათი ჟინჟლავდა. საქონელი გვყავდა „ობოლიძის მინდორში", ქიტიაურის ბოლოზე, სოფ. ალვანის ახლო; სამხრობიდან გადასული იქნებოდა ორი საათი. უეცრად ცაში თვალი მოვკარი, რაღაცა მოფრინავდა და ბრჭყვინავდა. ძრიელ შემეშინდა; ის რაღაცა მოფრინავდა თეთრ გიორგიდან ალავერდისაკენ (როგორც ადგილობრივ აღმოჩნდა, შარი მიფრენილა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისაკენ, სწორედ ამ მხარეზე ერთი-ერმანეთზე მდებარეობენ თეთრ გიორგის და ალავერდის ეკლესიები). ცოტა ხანს ტრიალა ცაში და მერე დაეცა ჩემს ახლო ხნულში. დიდხანს ისე უცქეროდი, ხელში არ ამიღია; მერე მოვაგროვე ჩამოვარდნილის ნაგლეჯები და პატარა ყუთი, ჩავდე ხურჯინში და ცხენით წამოვიღე სოფელში".

აწყურში მეტეოროგრაფი მიუბარებია მასწავლებლისთვის და თითონ თელავში წასულა დეპეშის გამოსაგზავნად. შემდეგში, მამასახლისის ბრძანებით, სტრაჟნიკებს გამოურთმევიათ მეტეოროგრაფი და სოფ. იყალთოში წაუღიათ, ისე რომ აპარატს ბევრის ხელში გამოევლო, სანამ მე მივიდოდი მისაღებად. მართალია, მეტეოროგრაფი დახურული დამხვდა იყალთოს მამასახლისის კანცელარიაში, მაგრამ როცა გავხსენი, გამურულ ქაღალდზე ეტყობოდა თითების ნაადგილევი. ბევრგან მური წაშლილი იყო. უმთავრესი ნაწილი ტერმომეტრის ნაწერისა 66 გრადუსამდის მიხწეული ყინვა წაშლილი იყო.

დანარჩენი ნაწერი შევიმუშავეთ და აღმოჩნდა შემდეგი: უდიდეს სიმაღლეს, 14600 მეტრს (თოთხმეტ ვერსს) შარმა მიაღწია ნაშუადღევის 1 საათსა და 18 წუთზე იმავ სექტემბრის 23-ს. ამ სიმაღლეზე, სადაც ბარომეტრიული ჰაერის სიმძიმე იყო 105 მილიმეტრი, შარი გასკდა და მეტეოროგრაფი დაეშვა ძირს პარაშუტებზე. ზევით აფრენას შარმა მოანდომა 41½ წუთი (მინუტი) დრო. საშუალო სიჩქარით 6 მეტრი მოდის წამში (სეკუნდში). მეტეოროგრაფი დაეცა დედა-მიწაზე ნაშუადღევის 1 ს. 48 წ., ისე რომ ძირს ჩამოფრენაზე შარს მოუნდა 30 წუთი საშუალო სიჩქარით 8 მეტრი წამში. ტფილისიდან აწყურამდის (100 ვერსი) შარი გაფრინდა 1 საათსა და 11 წუთში. აქედანა სჩანს, რომ ზემოდ კარგად ღონიერი ქარი ყოფილა, როდესაც ძირს სულ უქარო ამინდი იყო.

უმეტესი ყინვა, რომელიც არის დაწერილი ჩვენს მეტეოროგრაფზე, აღმოჩნდა 56 გრადუსი.

ოქტომბრის 22-ს კიდევ გაუშვებთ შარს-ზონდს. კიდევ შესაძლებელია კახეთისკენ გასწიოს, უფრო სიღნაღის მაზრისკენ, ამიტომ რომ ზემოთა ქარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ უბერავს.

ობსერვატორია მუდარებით სთხოვს ყველას, ვინც იპოვნის გაშვებულ შარს, მეტეოროგრაფის ყუთს ნუ გაჰხსნის, ვალიკზე დახვეულ შავად გამურულ ქაღალდს ხელს ნუ ახლებს და მასზე დაწერილ თეთრს ხაზებს ნუ წაჰშლის. მეცნიერებისთვის დიდად საყურადღებო ქაღალდზე დაწერილი ბუნების მოვლენა სამუდამოდ იკარგება ერთი ხელის ხლებით და მურის წაშლით. მით უფრო იმედოვნებს ობსერვატორია, რომ საკვლაოდ მეტეოროგრაფი გახსნილი აღარ იქნება, რომ თითონ აპარატი არავისთვის განძს არ წარმოადგენს და თუმანი საჩუქარი მიეცემა მპოვნელს მარტო მაშინ, თუ ნაწერი წაშლილი არ იქნება.

სექტემბერში გაშვებულ შარის პოვნაში საჩუქრად ერთი თუმანი მიიღო აწყურელმა გლეხ-კაცმა შაქრო გიგაურიშვილმა. **პ. უზნაძე.**

## პასუხად „სიმართლისთვის ტანჯულს" სტ. გიორგი ბელქანიას

(დასასრული*)

ბ-ნ ბელქანიას ტირილობას, საყვედურებს და გაზეთის ფურცლებზე თარეშს მაშინ ექნებოდა ადგილი, რომ სა ხანაგო სამართალი შემდგარიყო და ქართ. სტუდენტებს ვერ დაემტკიცებინათ მათ მიერ ა. დგებუაძისადმი მიმართული ბრალდება. მაგრამ ნუ თუ მართალია ეს ვითომ და „სიმართლისთვის ტანჯული" ბ-ნი ბელქანია იმაში, რომ ბ-ნი დგებუაძე აიძულეს noles volens მიემართა პროფ. დისციპლ. სასამართლოსთვის? ნუ თუ მართლა უარჰყო ამხანაგობამ საამხანაგო სამართალი და ამით დგებუაძეს მოესპო საშუალება თავის გამართლებისა? მართალია, ა. დგებუაძემ ბოიკოტის გამოცხადების შემდეგ მოითხოვა საამხანაგო სამართალი, მაგრამ ამხანაგებისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: „თუ დგებუაძე თავს დამნაშავედ არა სცნობს, გამოაცხადოს **გაზეთში**, რომ მას „ქეშ. რ. კავშირთან" არაფერი საერთო არა აქვს; შემდეგი ამხანაგები **ვალდებულნი** იქნებიან სასამართლოში გაჰყვნენ". ეს პასუხი ამხანაგების დავალებით მე გადავეცი ა. დგებუაძეს. მე ისიც კი უთხარი, რომ თუ აქაურ გაზეთში არ გინდა, შეგიძლიან ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გაგზავნო განცხადება მეთქი. ბ-ნი ბელქანია სკეპტიკურად უყურებს ზემოდ მოყვანილ პასუხს და ამბობს: „**არ ვიცი**, მკითხველო, რა უთხრეს ბ-ნ გაბუნიას მისმა კოლეგებმა (გამგეობის წევრებმა), მაგრამ ის კი დაწვრილებით ვიცი, რაც ბ. გაბუნიამ გადასცა ა. დგებუაძეს"-ო. აი რა გადამეცა მე ა. დგებუაძისთვის: „გამგეობას არ სურს თქვენთან (ა. დგებუაძესთან) სასამართლოში გასვლა და თუ მაინცა-და-მაინც გინდათ, მაშინ გაზეთების საშუალებით გამოიწვიეთ „ზემლ." გამგეობა საამხანაგო სასამართლოში" ბ-ნმა ბელქანიამ, როგორც თვითონ ბრძანებს, **არ იცის** რა უთხრეს დგებუაძის კოლეგებმა და **ის კი დაწვრილებით იცის**, რაც ა. დგებუაძეს გადავეცი. საკვირველია ღმერთმანი! რა უნდა გადამეცა ა. დგებუაძისთვის თუ არა ის, რაც ამხანაგებმა დამაბარეს. მე, როგორც შუამავალმა ა. დგებუაძისა და ქართ. სტუდენტების შორის, რამდენადაც შემეძლო, სინდისიერად შევასრულე ჩემი მოვალეობა. ეს მოვალეობა კი გამოიხატა ამაში, რომ ა. დგებუაძეს გადავეცი ზემოყვანილი პასუხი. მე ჩემით არაფერი არ შემითხზავს და რაც არ იცით, გთხოვთ მე ნუ მახვევთ თავზე. დიახ, დგებუაძეს გადავეცი სტუდენტების წინადადება, მაგრამ იმან უარჰყო იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც თქვენ ზიზღით უყურებთ ამ წინადადებას. თქვენ ბრძანებთ ის გზა, რომელიც ა. დგებუაძეს ურჩიეს, პროვოკაციული იყო და ასეთის გზით სიარული „ისიც გინ. ტალმაჩოვის სამეფოში" ქართ. „ზემლ." გამგეობას თუ მოუვიდოდა თავში"-ო.

სიმართლისათვის ჯვარცმულო, ბ-ნო ბელქანიავ, რომელ პროვოკაციაზე ლაპარაკობთ? განა ა. დგებუაძემ **გაზეთის საშუალებით** არ მისცა ერთი ჯგუფი ქართველ სტუდენტებისა პროფესორთა დისციპლინარულ სამართალში? ვის **სამეფოში** გამოდიოდა ეს გაზეთი, „ოდეს. ლისტ."? და ახლაც გამოდის? რა ნაირად მოხდა, რომ სტუდენტების ნარჩევი გზა ერთ შემთხვევაში პროვოკატორული გამოდგა, ხოლო მეორეში კი არა? ან და გახსოვთ თუ არა, ბ-ნო ბელქანიავ, რომ აქაურმა ქალაქის თეატრის დასმა მარჯანიშვილის რეჟისორობის დროს— in corpore გამოაცხადა „ოდესის უწყებაში" და სითითოოდ ხელი მოაწერეს, რომ „ქ. რ. კავშირთან" არაფერი საერთო არა გვაქვს და ჩვენ შესახებ გავრცელებული ხმები ჭორებიაო? ვინ ჩამოახრჩვეს? მაგრამ კმარა! რა შუაში იყო პროვოკაცია! პროვოკაციაზე ლაპარაკი იმისთვის დაგჭირდათ, რომ გინდოდათ საქმე **შინაურულად** გათავებულიყო... სხვათა შორის ა. დგებუაძემ მითხრა, რომ „ყველა ძველი სტუდენტი უკმაყოფილოა ასეთ ფურცლების გამოტევებითა"-ო. როდესაც ა. დგებუაძემ არ მიიღო სტუდენტების წინადადება, პირადად მე, როგორც მისმა ძველმა ნაამხანაგარმა, ასეთი წინადადება მივეცი: თუ მართლა არიან ასეთი უკმაყოფილონი, მოითხოვონ საქმის გარჩევა მეთქი. ამაზე შემდეგი პასუხი მივიღე ა. დგებუაძიდან:

Я никого безпокоить не желаю, у меня уже есть лучшее средство для своей реабилитацiи-ო. ეს საშუალება კი აღმოჩნდა პროფ. დისციპლ. სასამართლო, რომელიც, როგორც ბ-ნი ბელქანია მეთანხმება, ვერავის ჩირქს ვერ ჩამორეცხს... განა ზემონათქვამიდან აშკარა არ არის, რომ ა) ბ. ბელქანიას ლაპარაკი პროვოკაციაზე სიტყვის მასალაა და ბ) საამხანაგო სამართალს არავინ არ გაურბოდა და ბ-ნ დგებუაძისათვის არავის არ მოუსპია თავის გამართლების საშუალება? ოღონდაც რომ აშკარაა, მაგრამ რით გინდა, მკითხველო, ბ-ნ ბელქანიასთანა ურწმუნო თომა დაარწმუნოთ.

შემდეგ ბ-ნი ბელქანია ბრძანებს, რომ ა. დგებუაძემ მომმართა თხოვნით მე „ნასადილევს და პასუხი მიიღო **იმავე საღამოს... 4—5 საათის განმავლობაში**". ეს საათები. იმიტომ დასჭირდა ბ-ნ ბელქანიას, რომ უნდა დაამტკიცოს ჩემი გამგეობის წევრობა... სირცხვილი ბ-ნ ბელქანიას ასეთ მტკნარ სიცრუისთვის! თქვენ მიერ დასახელებული სტ. მ. კ—ძე და სტ. არ. ჯ—შვილი დამოწმებენ, რომ ჯერ კიდევ მეორე დღეს არა მქონდა მიცემული პასუხი, და როდესაც პასუხი მივეცი, ერთი დღე ა. დგებუაძეს მოუნდა **მოსაფიქრებლად**, რომ პასუხზე პასუხი გაეცა. ან კიდევ როგორ ამბობთ, რომ „მე და ნ. წულეისკირს კვლავ გვქონდა მოლაპარაკება ბ-ნ გაბუნიასთან". როდისა გვქონდა ჩვენ სამს დგებუაძის შესახებ მოლაპარაკება? ეს რომ არა ყოფილა, ამას ბ-ნი ნ. წულეისკირი დაამოწმებს. მაგრამ ერთხელ მინდა გკითხოთ, ბ-ნო ბელქანიავ; რა განსხვავებაა თქვენ მიერ ნახსენებ მარტისა და აპრილის „სამეფოთა" შორის? რა მიზეზია, რომ ზოგიერთ ამხანაგის სახელსა და გვარს ამოკლებთ და ზოგიერთისას კი შეუმოკლებლად მოგყავთ? რად სცდილობთ იმის დამტკიცებას (თუმცა არაფერი გამოდის ამ მტკიცებიდან), რომ აქ გამგეობა არსებობს და ესა თუ ის პირი ამ გამგეობის წევრია? ან და შეიძლება ისა გწყინთ რომ ა. დგებუაძემ სასამართლოში თავდაჭერილობა გამოიჩინა იმ მხრით, რომ მან უარჰყო „ზემლიაჩ." და გამგეობის არსებობა და თქვენ გინდათ ახლა დანაკლისი შეავსოთ?

ბ. ბელქანიას თავის წერილში მოჰყავს ყრალაც **სიტყვები ზეპირად** და ამ **ზეპირსიტყვაობის** საშუალებით იწყებს ჩემს შესახებ ფსიხოლოგიურ ექსკურსიას. მაგრამ ვინაიდან მიტო ჯავახიშვილს არავისთვის წინადადება არ მიუცია ა. დგებუაძის შესახებ და ბ-ნი ბელქანია კი ამაზე ამყარებს თავის ექსკურსიას—მე იძულებული ვარ გავჩუმდე. რაც არა ყოფილა, იმაზე ვერაფერს ვიტყვი არარაიდან მხოლოდ ბ-ნ ბელქანიას ძალუძს რაიმეს შექმნა.

რაც შეეხება საქმის გარჩევას, ამაზე აი რას მოგახსენებთ: საქმის შედარებით ადვილად გათავება იმით კი არ აიხსნება, რომ ა. დგებუაძემ თავისი განცხადება **სრულიად არ** დაასაბუთა—როგორც თქვენ ბრძანებთ არამედ იმითი, რომ **სრულიად ვერ** დაასაბუთა. მაგრამ **უსაბუთო** ჩვენებაც საკმარისი შექმნა **მოსამართლეებისათვის**, რომ ექვსი კაცისთვის შენიშვნა მიეცათ. და რას იზამდა დასაბუთებული ჩვენება, ადვილი წარმოსადგენია.

აი ყველა ის, რის თქმაც მინდოდა ბ-ნ ბელქანიას ყალბ ვექილობის შესახებ. მაგრამ თქვენ, ბ-ნო ბელქანიავ, ექიმობასაც ჩემებთ. თქვენ ამბობთ, რომ „ს (დ—ძე) ავადმყოფი წევრია ქართულ „ზემლიაჩესტვოსი"-ო. მხოლოდ არც ერთ წერილში ავადმყოფობას არ გვაცნობთ ან იქნება თქვენი **დიაგნოზი რაღაცა შეცდომით ჩაწერა** იყოს „ქ. რ. კავშირში"? საცხოვო დიაგნოზია! ვაი იმ ავადმყოფის ბრალი, რომელიც თქვენისთანა ექიმს მოიწვევს!

ერთის სიტყვით, ბ-ნი ბელქანია, როგორც ვექილი და ექიმი, დათვურ სამსახურს უწევს ა. დგებუაძეს. ასე რომ ა. დგებუაძეს თამამად შეუძლიან სთქვას თქვენზე: „Избави Богъ меня отъ такого защитника-врача". დასასრულ უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო ბელქანიავ, რომ ა. დგებუაძე, ჩემის აზრით, თქვენზე მაღლა სდგას. და თქვენ, როგორც ლათინურ და რუსულ იგავ-არაკების მცოდნეს, ისიც რომ გცოდნოდათ, რომ „Чѣмъ дальше въ лѣсъ, тѣмъ больше дровъ". თქვენს ტყავში დაეტეოდით. ვთავებ თქვენთან კამათს და მკითხველებმა დასდონ მსჯავრი: ვინ ამახინჯებს ფაქტებს და სცრუობს? მე, იურისტი, თუ ბუნების-მეტყველი ბ-ნი ბელქანია? **გ. გაბუნია.**

*) იხ. „დროება" N 231.

# უცხოეთი

**მარკიზ იტოს მოკვლა.**

მარკიზი იტო მატარებლით მივიდა ხარბინში, ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი და რუსეთის მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები სადგურზე შეხვდნენ იაპონიის წარმომადგენელს. სადგურზე დარაჯი იდგა უბილეთოდ არავის უშვებდა. „რუსკოე სლოვო"-ს ცნობით, იაპონიის ელჩის თხოვნით რამდენიმე იაპონიის ქვეშევრდომი გაუშვიათ ბაქანზე, ამათში ყოფილა მკვლელიც. უხმოდ წაუწევია წინ, საკონსულოს მოხელეებში არეულა, ამოუღია ბრაუნინგი, და დაუყვირია „გაუმარჯოს კორეას"! და ექვსჯერ უსროლია იტოსათვის, რომელიც კოკოვცევის გვერდით იდგა. იტო წაპარბაცებულა და კოკოვცევის ხელზე დაცემულა 20 წუთის შემდეგ კიდეც გარდაცვლილა. რუსმა ჟანდარმს მკვლელისათვის რევოლვერი გამოუტაცნია. თვითონ მკვლელს პირჯვარი გადაუწერია და აუღელვებლად მისცემია პოლიციას ხელში.

**დიპლომატები იტოს მოკვლაზე.**

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში მწუხარებით შეხვდნენ იტოს მოკვლას. დიპლომატიურ წრეებში იტო შორს-მჭვრეტელ პოლიტიკოსად იყო ცნობილი. იტოს ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა იაპონიის საქმეებზე, მაშინაც კი, როდესაც ის კორეის მთავარ-მართებლად იყო. იაპონიის ლონდონელ საელჩოში დარწმუნებულნი არიან, რომ იტოს მკვლელობას პოლიტიკური სარჩული უდევს. რამდენჯერმე უცდიათ იტოს მოკვლა და განზრახვა თუ სისრულეში ვერ მოუყვანიათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იაპონიის პოლიცია ფხიზლად იცავდა იტოს.

იტოს მოკვლის გამო ვრცელი წერილები დაუბეჭდიათ ინგლისის გაზეთებს. ყველა ერთხმად ლაპარაკობს, რომ იტოს მოკვლით იაპონიამ ერთი საუკეთესო შვილი დაჰკარგა. იტო დიდი რეფორმატორი იყო, იაპონიის კონსტიტუციის ავტორი და ეროვნულ დიდების შემქმნელი.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებშიაც სერიოზულ მნიშვნელობას აწერენ იტოს მოკვლას. ჰფიქრობენ, რომ იაპონია რეპრესიულ ზომებს მიიღებს, ეცდება საბოლოოდ შეიერთოს კორეა და საზოგადოთ გააძლიეროს აგრესიულ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში.

**ინტერვიუ იაპონიის ელჩთან.**

„რუსკ. სლოვო"-ს თანამშრომელს ულაპარაკნია იაპონიის პეტერბურგელ ელჩის წარმომადგენელთან, რომელსაც უთქვამს, იტოს მოკვლამ თავ-ზარი დასცა ყველასა. იაპონიამ დაჰკარგა დიდად საყვარელი შვილი. როდესაც სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხოლმე, იტო ყოველთვის გამგეობის სათავეში დგებოდა, ოთხჯერ იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. იტო გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. კარგად ჰქონდა შესწავლილი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეები და როდესაც იაპონიის მთავრობამ იტო კორეაში გაგზავნა, დარწმუნებული იყო კარგად წაიყვანდა იაპონიის საქმეს. ამ ჟამადაც იტოს დიდი თანამდებობა ეჭირა, ის იყო იაპონიის საიდუმლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. მარკიზი იტო ხანში შესული იყო—70 წლისა.

**ინტერვიუ კორეის პრინცთან.**

პეტერბურგის განაპირა ადგილას სცხოვრობს კორეის იმპერატორის ბიძაშვილი პრინცი კინ-პომ-ი, რომელიც ომამდე კორეის ელჩად იყო პეტერბურგში და დიდს როლსაც თამაშობდა დიპლომატიურ წრეებში, როდესაც კორეის საქმე ასე ცუდად დაბოლოვდა, პრინცი პეტერბურგშივე დარჩა, ერთი განაპირა ადგილი აირჩია და იქ განმარტოებით სცხოვრობს. „რუსკ. სლოვო"-ს თანამშრომელს ულაპარაკნია პრინცთან რომელსაც შემდეგი უთქვამს:

— იტოს მოკვლას სრულებით არ გაუკვირვებივარ. კორეაში ყოფნის დროს რამდენჯერმე შეეცადნენ იტოს მოკვლას. იაპონიამ დიდი დანაკლისი დაჰკარგა, მაგრამ იტოს კორეისთვის კეთილი არ გაუკეთებია-რა. კორეელებს იაპონელები არ უყვართ, პირდაპირ სძულთ კიდეც. კორეია ხელთ იგდეს და როგორც უნდათ, ისე პარპაშობენ ჩვენს ქვეყანაში. ყველანი მტრულად უცქერის იაპონელებს, ეს მტრობა თან და თან ძლიერდება. იტოს მეოხებით კორეამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა, იმის მეოხებით რამდენიმე ათასი მშვიდობიანი კორეელი უდანაშაულოდ იქმნა პასუხის-მგებლობაში მიცემული. შვიდი წელიწადია სამშობლოში არა ვყოფილვარ, მაგრამ როგორც ცნობები მომდის, კორეა იაპონიის პროვინციად გადაუქცევიათ. მაგრამ მიუხედავად ჩვენი უბედურებისა იმედს არა ვკარგავთ, ჩვენს უფლებებს აღვადგენთო. იაპონია ვერ მოჰკლავს ჩვენს თავისუფალ სულს, სიხარულით ვეგებებით ჩინეთის აღორძინებას. ჩინეთთან მუდამ მეგობრულ განწყობილებაში ვიყავითო.

**რევოლიუციონური მოძრაობა საბერძნეთში.**

უცხოეთის გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში რევოლიუციონურმა მოძრაობამ თავი იჩინა და ხალხის სხვა და სხვა წრეებში გადავიდა. მოძრაობა გადავიდა სამღვდელოებაშიაც. წირვა-ლოცვის დროს მღვდლებმა სასტიკად გაჰკიცხეს ეპისკოპოსები. მღვდლები ლაპარაკობდნენ, რომ საბერძნეთის სამღვდელოების მაღალ წრეებში უვიცი ხალხი სხედან, ანგარებით მოცულნი არიან და ამავე დროს საშინლად სჩაგრავენ მღვდლებს, რომელთა მდგომარეობა ისედაც მეტად ცუდიაო.

სახელოსნო ამქრებშიაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ახალ გადასახადების შემოღებამ. ხელოსნებმა დაადგინეს ყოველ-გვარი საშუალებით ებრძოლონ თამბაქოზე და შაქარ სასმლებზე გადასახადის შემოღებას. გამოიტანეს რეზოლიუცია და თავიანთ სახელით წარუდგინეს ფინანსთა მინისტრს.

საბერძნეთის საზოგადოებათა კავშირმაც ითათბირა ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე და დაადგინა რეფორმების შემოსაღებად სამხედრო კავშირთან ერთად იმოქმედოს. კავშირმა დაადგინა, მოწვეულ იქმნას ნაციონალური კრება და შეიცვალოს საარჩევნო წესი.

ფიქრობენ, რომ მეფე გიორგი ტახტიდან გადადგებაო. მეფე ძალზე შეწუხებულია იმით, რომ ომის შემდეგს სამხედრო სამსახურში უპირატესობა არ მიანიჭეს. პარლამენტში [illegible] შორის [illegible] აქვს და [illegible] ყურს აღარ უგდებენ პარლამენტის მოქმედებას. კანონ-პროექტებს აფიცრები უწუნებენ და პარლამენტი უცვლელად იღებს. დეპუტატები უკმაყოფილონი არიან ასეთ მდგომარეობით. თუ უცვლელად ვიღებთ აფიცერთა კანონ-პროექტებს ეს იმიტომ, რომ რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებას ხელი არ შეუწყოთ, და სისხლის ღვრა არ გამოიწვიოთო. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ აფიცერთა კავშირში დიდი კამათია. უმრავლესობა თხოულობს უფრო რადიკალურ ზომების მიღებას, უმცირესობა კი უფრო ზომიერ გზას ადგია. უმრავლესობა თხოულობს დაუყოვნებლივ გადადგეს მთავრობა, გამოწვეულ იქმნან ელჩები საზღვარ-გარეთიდან, თხოულობს იმ დეპუტატებისა და აფიცრების დაპატიმრებას, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ დიქტატურისა და სამეფო დინასტიის გაუქმებისა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, ვამცნო მკითხველ საზოგადოებას ჩემი ამბავით, თუ რა შეურაცხყოფა მომაყენა ველისციხის მამასახლისმა ვლ. მიკირტუმოვმა ენკენისთვის 21, საღამოხანს. აი საქმე რაში გახლავთ:

შებინდებული იქნებოდა, რომ ვიჯექი ჩემს დუქანში და ერთს სხვაგან გასაგზავნ ყუთს ვლურსმავდი. ამდროს საიდანაც წამომადგა თავს მამასახლისი სტრაჟნიკებით ცხენდა ცხენ და შემომკივლა: „შენ, ჰეი, რატო ფარანი არა გაქვს ანთებული!" მე მოვახსენე: ჯერ ხომ ადრეა, დუქანიც ღია მაქვს და როდესაც დავკეტავ, ფარანსაც ავანთებ და, ესეც რომ არ იყოს, მე საქმე ხელში მიჭირავს, ბიჭი აქ არ გახლავთ და მოვა თუ არა მაშინათვე უეჭველად ავანთებინებ მეთქი (კარგა ხანია, რაც ველის ციხეში ყოველი მედუქნე თავის დუქანწინ ფარანს ანთებას ღამე). „როგორ თუ ბიჭი შე მამ..ძ.....ო! გამოათრიეთ გარეთ ეგ ურჩი მამაძ...ი, ბიჭებო!" ყოველივე ეს მაშინათვე შეასრულეს. გამომიყვანეს გარედ, მაგრამ ის დღე დაადგეს თქვენს მტერს, რა დღეც მე დამაყენეს! თვითონ მამასახლისმა და მისის ბრძანებით სტრაჟნიკებმაც დამიწყეს მათრახებით საშინლად ცემა, მაგრამ ცემაც ცემაა და ჰქვიან! მერე, ჩემს დუქან წინ რომ ვერ მოიჯერეს გული, მამასახლისისავე ბრძანებით დუქნიდან გამოიტანეს თოკი და მიკრავდნენ ხელებს, რომ ისე წავეყვანე „პოსტში", რათა იქ დაეთავებინათ, რაც დამაკლეს, მაგრამ ამ დროს მომეშველნენ თავ. რაჟდენ ჯანდიერი, გიორგი ჯანდიერი, რამდენიმე სხვანიც და რის ვედრება-მუდარით გადამარჩინეს იმ წამებას, რაც განზრახული ჰქონდა გამძვინვარებულ მამასახლისს, ეს ამბავი ქაღალდით ვაცნობე, ვისაც ჯერ არს, და არვიცი რა იქნება.

თავ. **ივანე ნასყიდას ძე არღუთაშვილი მხარგძელი.**

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დილით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
**საღამოთი:**
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—197)

**მიიღეთ 2500 მანეთი**
**გამოგზავნეთ მხოლოდ 2 მანეთი 20 ოქტომბ.**
გამოგზავნეთ ორი მანეთი და უფლება გექნებათ ¼ ბილეთზე მთავრობის მე-193 ლატარიის მე-4 კლასის ტირაჟის დროს. მოგების ტირაჟი მოხდება 28 და 29 ოქტომბერს და რადგან მსურველი ბევრია, ამიტომ გირჩევთ დააჩქაროთ ფულის გამოგზავნა. ფულის მიღებისათანავე გამოგეგზავნებათ დაწესებული მოწმობა, იმ ნომრის აღნიშვნით, რომლითაც მონაწილეობას იღებთ. ტირაჟის შემდეგ მონაწილეთ დაეგზავნებათ ოფიციალური ცნობილი მოგებისა. მოგებებს დეპეშით ეცნობება და ფულიც ადრესის თანახმად გაეგზავნება. მსურველთ გთხოვთ მომმართონ ამ ადრესით: Въ контору В. А. Френзель, Варшава, Красинская пл. N 2. დეპეშის ადრესი: Варшава, Френзель, Красинская N 2. მთელი ბილეთისთვის საჭიროა 8 მან. (მოგება 10,000 მან.;) ნახევარ ბილეთისთვის—4 მან. (მოგება 5000 მან.). (2—ნ.—2)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე